აგროსერვის ცენტრის გაზეთი

ვაზი

ერთად ვდაკუმბრუნოთ სიცოცხლე სოფლის!

WWW.AGROSC.GE

№ 4 (10). სექტემბერი . 2014 წელი

მიზნობრივი პროგრამების საშუალებით ფერმერთა ხელშწყობა გრძელდება

ამის შესახებ ვრცელი საუბარი იყო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ 2015 წლის მიზნობრივი პროგრამების პროექტის წარდგენაზე, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

მინისტრმა **ზაურ ფუტკარაძემ** ხაზი გაუსვა, რომ მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ტრადიციულაი გახდა. ესაა ახალი ინოვაციების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანის, გაცნობისა და წარმოებაში დანერგვის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მიზნობრივი პროგრამების შედგენაში სამინისტროს ყველა სტრუქტურამ, სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა, განსაკუთრებით „აგროსერვისცენტრის“ კოლექტივმა, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა და ამდენად, თითქმის დასრულებული სახითაა წარმოდგენილი. თუმცა, სანამ მთავრობა და უმაღლესი საბჭო დაამტკიცებდეს, შესაძლოა მასში გარკვეული კორექტივები შევიდეს. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების ეფექტურობის გაზრდას. საბოლოო შედეგები ხომ ბევრადაა დამოკიდებული მათი განხორციელების ხარისხზე, რის მისაღწევადაც სამინისტრო ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს. მითუმეტეს, რომ მის კოლექტივს ამის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ანზორ თხილაშვილმა** დადებითად შეაფასა ბოლო წლებში სამინისტროს მიერ განეული მუშაობა, განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების მნიშვნელობა აგროსექტორისათვის და ამ მხრივ რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს ხედვაზე და სტრატეგიულ გეგმებზე ისაუბრა.

შემდეგ, სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **ლევან გოლძვაძემ** წარმოადგინა მიზნობრივი პროგრამები, კონკრეტულად განმარტა და დაასაბუთა თითოეულის საჭიროება.

პროექტით, 2015 წელს სამინისტროს სამი მიზნობრივი პროგრამის განხორციელება აქვს დაგეგმილი, რომელთა ბიუჯეტი 4.325 ათასი ლარია. 1)„ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრულველყოფის ხელშეწყობა“, რომელსაც 1.728.100 ლარი უნდა მოხმარდეს. 2)„ მემცენარეობის განვითარების ხელშეწყობა“ - 1.368.100 ლარი, 3) „მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობაუ, 1.228.800. კონრეტულად რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებებით, ეს ქვეპროგრამებშია აღწერილი.

პირველი პროგრამის ქვეპროგრამებით დაგეგმილია 361 მრავალფუნქციური მოტობლოკის შეძენა და 30%- იანი თანადაფინანსებით ფერმერებისთვის მიყიდვა. მათ ასევე მიეყიდებათ 104 მოტობლოკზე მისაბმელი ურიკა ტვირთის გადასაზიდად, რასაც 1.600 ატასი ლარი მოხმარდება. იმავე წესით შეიძენენ და ფერმერებს მიჰყიდიან 61 შემასხურებელ აგრეგატს წამლობების ჩასატარებლად, რისთვისაც 128.100 ლარი დაიხარჯება. ფერმერებს მიჰყიდიან რამდენიმე ათეულ კორტოფილის სარგავ აგრეგატსაც. საგულისხმოა, რომ სწორედ მრავალფუნქციურ მოტობლოკებზე და ზემოთაღნიშნულ მისაბმელ აგრეგატზეა ფერმერთა ყველაზე დიდი მოთხოვნა. სამინისტროს მიზანია, რაც შეიძლება მაღალხარისხოვანი ტექნიკა შემოიტანოს. ასე იყო შარშან, როცა ცნობილი ფირმების მიერ გამოშვებული მოტობლოკები შემოიტანეს და 30%-იანი თანადაფინანსებით მიჰყიდეს ფერმერებს.

მეორე პროგრამა ოთხი ქვეპროგრამისაგან შედგება. მრავალწლოვანი ხეხილის ნერგებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფას 196.900 ლარი მოხმარდება. ამ ფულით შეიძენენ და ფერმერებს 30%-იანი თანადაფინანსებით მიჰყიდიან. 10.100 ძირ ჩანდლერის ჯიშის კაკლის ,10.500 ძირ მოცვის, 32 ათასი ძირი თხილის ნერგს.

დასასრული მე-2 გვერდზე

„აგროსერვიცენტრმა“ განვლილი მუშაობის ანგარიში ჩააბარა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები, თავმჯდომრის, ავთანდილ ბერიძის ხელმძღვანელობით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ხელმძრვანელებთან ერთად, 19 სექტემბერს, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ ეწვივნენ. შეხვედრაზე ადგილობრივი ფერმერებიც იმყოფებოდნენ.

„აგროსერვის ცენტრის“ ჩაქვის და გვარას ციტრუსებისა და ხეხილის საკოლექციო- სადემონსტრაციო ნაკვეთების, ბაღების, სათბურებისა და ხეხილის საშრობ-სახმობი საამქროსა და სამაცივრე მეურნეობის დათვალიერების შემდეგ, „აგროსერვისცენტრის“ გვარას საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის გამსვლელი სხდომა გაიმართა, რომელზეც ამ სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში განეული მუშაობა განიხილეს.

კომისიის თავმჯდომარემ **ანზორ თხილაიშვილმა** მოკლე ინფორმაცია გააკეთა აგროსექტორის განვითარების დაჩქარების მნიშვნელობაზე. აგროსექტორის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში, მის სოციალურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, იმ გამოწვევებზე, რომლებსაც თანამედროვე, გლობალიზაციის პირობები გვიყენებს და იმ ძალისხმევაზე, რომელსაც ახალი ხელისუფლება ქართული სოფლის არორძინებას, დასაქმებასა და ეკონომიკური დოვლათის შექმნა, ამ სერიოზული რესურსებისა და რეზერვების გამოყენებას ახმარს. ისაუბრა იმ საკითხებზეც, რომელთა მოუგვარებლობა დანაშაულის ტოლფასია და მთელი რიგი პრობლემების დროული გადაწყვეტით ერთობ საშური, ეროვნული და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გაკეთდება. ისაუბრა იმ როლზე, მისიასა და მოლოდინზე, რომელსაც საზოგადოება სწორედ „აგროსერვის ცენტრის“ წარმატებულ საქმიანობას უკავშირებს და კონკრეტულ წარმატებულ შედეგებს მოუთმენლად ელოდება. ჩვენს ფერმერებს ამ ორგანიზაციის სახით გამოუჩნდათ ისეთი პარტნიორი, რომელიც მათ გაუმჯობესებული ჯიშების ციტრუსების, ხეხილის, ვაზის ნერგებით უზრუნველყოფს და მეურნეობის ახლებურად მოწყობა-გამართვაში, მის ეფექტურ მართვასა და მარკეტინგულ გაძღოლაში დაეხმარება. ითქვა ისიც, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას, დაბალმწარმოებლური, დაბალპროდუქციული მეცხოველეობის სექტორი მოითხოვს და ამ მხრივაც გაჩენილმა იმედის სხივმა და წარმატებით დაწყებულმა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ქსელისა და პრაქტიკის გაფართოებამ - პრაქტიკულად, ამ დარგში ნამდვილი რევოლუცია უნდა მოახდინოს და პირველივე ეტაპზე ადგილობრივი ჯიშების საქონლის წველადობა მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს, შემდგომ თაობაში კი, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება.

დასასრული მე-3 გვერდზე

სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მთავრობამ ეწ აგროდაზღვევის პროექტის განხორციელება დაიწყო.

ეს სიკეთე ჯერჯერობით მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევას მოიცავს. მას სოფლის მეურნეობის პროექტის მართვის სააგენტო ახორციელებს. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ სადაზღვეო კომპანიას, რომელიც კი საქართველოში მოღვაწეობს,რომელთაც ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება აქვთ. დაფინანსება 5 მილიონი ლარი „ შეღავათიანი აგროკრედიტის“ ასიგნებებიდან გამოიყო. საქართველოს მთავრობის განკარგულებას, რომელსაც ხელს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს თან ახლავს „აგროდაზღვევის განხორციელების პროგრამაუ, რომელშიც დეტალურადაა განმარტებული და გაწერილი პროექტებში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები და განხორციელების ტექნოლოგია.

პროექტს სამი მთავარი მონაწილე ჰყავს: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტო, სადაზღვეო კომპანია და საკუთრივ ფერმერი. ფული სააგენტოს აქვს და თავადვე განკარგავს. სადაზღვეო კომპანია შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ფერმერთან დებს სადაზღვეო ხელსეკრულებას, ატარებს ყველა ოპერაცია, რაც კი სადაზღვეო ტანხის გაცემასთან არის დაკავშირებული (ტერიტორიის,ნაკვეთის მათზე გაშენებული ბაღის , ყანის, მოსალოდნელი მოსავლის, ზარალის შეფასება, სადაზღვეო პრემიის გაანგარიშება და სხვა. ფერმერი ხელს მოაწერს რა სადაზრვეო ხელშეკრულებას, ვალდებულია სადაზღვეო თანხა რეგულარულად, დაგეგმილი წესის და რიგის შესაბამისად გადაიხადოს.

დასასრული მე-2 გვერდზე

2

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა „აგროსერვისცენტრის“ გაზაზე

აგრარული სფეროს სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული სამუშაოების მოდელის შექმნა „აგროსერვისცენტრმა“ იტვირთა.

3

სასოფლო-სამეურნეო მიწეგი უცხოელებზე აღარ გაიყიდება

ახალი კანონი საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მეორე მხრივ კი უცხოელი ინვესტორების უფლებებსაც იცავს.

3

კითხვები, რომლებზეც პასუხი „აგროსერვისცენტრმა“ უნდა გასცეს

ახალგაზრდა ორგანიზაციის მოღვაწეობა ქვეყნის აგროსექტორის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა.

4

აჭარელ ფერმერთა საყურადღებოდ!

ENPARD AJARA - სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი საგრანტო პროექტის განხორციელებას იწყებს.

სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა „აგროსერვისცენტრის“ გაზაზე

ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების, სოციალისტური, მბრძანებლური, საბჭოური, ჩაკეტილი სივრცის ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელის რღვევის პროცესმა მნიშვნელოვანი დაღი დაასვა აგრარული სექტორის სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებას. დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი ქვეყანა, ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. ეს პრობლემა თანდათანობით გადაუჭრელი და დილემისაკენ მიექანება. უმთავრესი ამ მიმართებით არის სოფლის მეურნეობის დაკნინება, დარგობრივი სტრუქტურის მოშლა და მოსახლეობის ტოტალური დაუსაქმებლობაა, რაც განაპირობებს სოფლად რეალური შემოსავლების უკიდურეს სიმცირეს და სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის გაუარესებას.

აგრარულ სფეროში კოლექტიური მეურნეობების მოშლა-გაუქმება ტოტალური და არაგეგმაზომიური გზით წარიმართა. უფრო სწორად, მოვსპეთ და გავანადგურეთ სოფლის მეურნეობის მთლიანი ინფრასტრუქტურა ისე, რომ მისი რეაბილიტაციის ან რაიმე ახლის დაშენება თითქმის შეუძლებელია. ვერ გამოვნახეთ რაიმე ალტერნატიული, მსოფლიოში აპრობირებული ისეთი მოდელი, რომელიც ჩვენს ტრადიციულ მეურნეობასთან ერთად შექმნიდა აგრარული სექტორის განვითარებას. შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ფონზე. სამაგიეროდ, მოგვეძალა ათასი ჯურის ჭკუა მასწავლებლები, უხარისხო, ფალსიფიცირებული და ძვირადღირებული პროდუქტები. საკუთარი ბაზარი დავთმეთდა ვებღაუჭეთ სხვისი ბაზრების ათვისებას მაშინ, როცა საკუთარ სახლში ვშიმშილობთ. ქვეყანა, რომელსაც გააჩნია არავეულებრივი ბუნებრივი პირობები, საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, უნიკალური სასურსათო პროდუქტების მოვლა-მოყვანის, გადამუშავებისა და დანიშნულებისამებრ მოხმარება, სიღარიბის ზღვარზეა და საკუთარი მიწის უცხოელების მფლობელობაში გადაცემის ცრუ იმედით არის შეპყრობილი.

ასეთ ვითარებაში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე გაწეული სქმიანობა უნდა შეფასდეს უაღრესად დადებითად, თუკი შევადარებთ სხვა რეგიონების მდგომარეობას და შედეგებს. განსაკუთრებით, ბოლო წლებში მის მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები და დაუოკებელი სვლა სიახლეებისადმი მეცნიერებისადმი, მეცნიერული მიღწევების დანერგვისადმი იმ ჩარჩოში, რომელშიც მას უწევს მუშაობა - უდაოდ დადებით მოვლენად უნდა აღვიქვათ. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა სამინისტროს, მისი ქვესტრუქტურული ერთეულის ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ჩამოყალიბების და მასში განხორციელებული აგრარულ სფეროში არსებული და ახალი ტექნოლოგიების დანერგვათვალსაჩინო სამუშაოები, ნამდვილად არის თავდაუზოგავი ბრძოლის და ერთგულების მაგალითი. სოფლის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ახლო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. მარტო ის, რომ „აგროსერვის ცენტრი“ ხედავს პრობლემებს და სახავს აბსოლიტურად სწორ გეგმებს მისი გადაჭრისთვის - ეს უკვე მიღწევაა. ბოლო 6 თვით გადადგმული ნაბიჯები, როცა თითქმის აღარ არსებობს ქვეყანაში ტექნოლოგიების უზრუნველმყოფი გადამამუშავებელი მრეწველობა (ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსის) განადგურებული ტრადიციული სამეცნიერო და ტექნიკური მიმართულებები, არ ფუნქციონირებს ჯიშთა გამოცდის და მეთესლეობა-მენერგეობის სადგურები. გაწყვეტილია კავშირები მეცნიერებთან, აგროსერვის ცენტრმა მოახერხა თავის თავზე აიღო ახლო წარსულის თითქმის ყველა „ცოდვა“ და მკვეთრი ნაბიჯები გადაედგა აგროსექტორში არსებული ყველა პრობლემის დასაძლევად. სადღეისოდ, „აგროსერვისცენტრმა“ იტვირთა აგრარული სფეროს სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული სამუშაოების სწორი მოდელის შექმნა და მისი მიტანა უშუალოდ მოსახლეობასთან. ანუ, მათ უაღრესად კარგად შეიგნეს ეკონომიკური თეორიის ძირითადი კანონი, რას ვაკეთებთ, რისთვის ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ. შეიგნეს ის, რომ მოგებაზე ორიენტირებული სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭიროა შრომის ძირითადი რესურსი: მიწა, ცოდნა, კაპიტალი და ადამიანური რესურსი, სწორედ ამ შეგნებით გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა დაგვანახოს, უფრო - სწორად დაანახოს ხელისუფლებას და საზოგადოებას ის, რომ სოფელზე და სოფლის განვითარებაზე ზრუნვა არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ალტერნატიული პირობა.

ეხლა, რაც შეეხება სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, იმ მრავალმხრივი პრობლემებისა რაც ამ მიმართულებას დაატყდა თავს, ერთ-ერთი ძირითადი არის ათეული წლების მანძილზეე ახალი ჯიშების გამოყვანის, მოძიების და მოყვანის ტექნოლოგიების უგულებელყოფა.

ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა და მევენახეობა იყო. არის და კვლავაც დარჩება ქვეყნის აგრარული სექტორის ძირითად მიმართულებად. ამ მიმართულებით დავა არ არის საჭირო, რადგან ეს საკითხი ძალიან ბევრ ასპექტებს მოიცავს და მისი განხილვა - დიდ ახსნა-განმარტებას და მტკიცებულებებს მოიცავს.

ამ მიმართულებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, არის კლასიკური მაგალითი მეცნიერებისა და სამთავრობო სტრუქტურების ნაყოფიერი, შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობისა. ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-ინტელექტუალურ პოტენციალის მაქსიმალურად ჩართულობას, აგროსექტორში არსებული პრობლემების მოგვარებაში, იმავდროულად, სტუდენტობას ეძლევა საშუალება თვალნათლივ დაინახონ და მონაწილეობა მიიღონ იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაში, რაც ხორციელდება აგროსექტორში. ამით მიღებულია აგროსერვის ცენტრიც, როგორც უნიკალური სასწავლო-სამეცნიერო ბაზის შემქმნელი და მოგებულია უნივერსიტეტის მეცნიერები და სტუდენტები , როგორც საკუთარი ცოდნა-გამოცდის რეალიზატორები და რაც მთავარია ჩვენი სოფლის მოსახლეობა.

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტში შეიქმნა აგრარული სფეროს წამყვანი მეცნიერების ჯგუფი, რომლებიც შეისწავლიან აგროსექტორის ბაზაზე ინტროდუცირებული და ადგილობრივი, ციტრუსოვანთა, ხეხილოვანთა, კენკროვანთა და ვაზის 200-მდე ჯიშის აგრო-ბიოლოგიურ და სამეურნეო ნიშანთვისებებს, მათი ერთგვაროვნების, სტაბილურობის, განსხვავებულობის გამოვლენის მიზნით შერჩეული ჯიშების ინტენსიური, აგროტექნოლოგიების შესწავლას.მირებული მოსავლის გადამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირება რეალიზაციის მეცნიერულ დასაბუთებულ რეკომენდაციებს. ამ მიმართულებებში ჩაერთვება არაერთი სტუდენტი, ასპირანტი და დოქტორი. შედეგად, ჩვენ მივიღებთ მეცნიერულად შესწავლილ მაღალი სამეურნეო თვისებების ახალ ჯიშებს. ტექნოლოგიების და რაც მთავარია, ახალგაზრდა სპეციალისტების, როგორც აგროტექნოლოგების ასევე, ბიოლოგიის, მცენარეთა დაცვის და ნაყოფიერების გადამუშავების საინჟინროტექნოლოგიის, ეკონომიკის, სასურსათო უსაფრთხოებისა და უვნებლობის მიმართულებით.

საქმე კარგადაა დაწყებული, მისი განვითარება და შედეგები დამოკიდებულია თვით უნივერსიტეტის და სამინისტროს მზაობაზე შემდგომი თანამშრომლობისათვის.

ზურაბ მიქელაძე
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

აგროდაზღვევა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზღვევას ითვალისწინებს. იმ კულტურების დაზღვევა კი, რომელიც პროგრამაში მითითებული არ არის, მზღვეველს, სადაზღვეო კომპანიას და დამზრვევს ანუ ფერმერს და კოოპერატივს შეუძლიათ მოლაპარაკების და შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს, ამ სადაზღვეო პროექტის განხორციელებას, იქნება ეს შეხვედრები ფერმერებთან, თუ საინფორმაციო საშუალებებით დაზღვევის თაობაზე მათი ინფორმირება.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში რეგულარულად გაიმართება შეხვედრები სადაზღვეო კომპანიებთან და ფერმერებთან, სადაც დეტალურად ისაუბრებენ ყველა საკითხებზე რაც კი დაზღვევასთანაა დაკავშირებული.

რა ზარალს აუნაზღაურებს დაზღვევა?

ეს კითხვა ყველა ფერმერს აინტერესებს და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე - ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენ არაერთი ექსპერტის და დარგის სპეციალისტის მოსაზრებას გავეცანით, თუმცა ჩავთვალეთ, რომ ამ ძალზე დიდი მნიშვნელობის პროგრამის მიზანშეწონილობის, პერსპექტივაში აგროსექტორის განვითარების მასტიმულირებელ და ხელშემწყობ ფაქტორებზე წარმოდგენის შესაქმნელად ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომრის **ნინო ზამბაზიძის** მოსაზრებები საინტერესოდ ჩავთვალეთ, სადაც იგი ამბობს, რომ „ეს ერთწლიანი პროექტი ბევრ შეკითვაზე გასცემს პასუხს. რამდენად არის ფერმერი მზად, რამდენად არიან სადაზღვეო კომპანიები მზად იმისთვის, რომ სამომავლოდ ერთიანი სადაზღვეო პრაქტიკა ჩამოყალიბდეს“.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია ფერმერების ინფორმირება, რათა მათ იცოდნენ, რა ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია აგროდაზღვევას. აგროდაზღვევასთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებაში იგი აღნიშნავს- „ბევრი ფერმერის მიწა არ არის რეგისტრირებული და არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. შეიძლება ფერმერს ქონდეს მიწა, მაგრამ ის არ იყოს საკადასტრო რუკაზე, ან არ იყოს რეგისტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ფინანსებს უკავშირდება, ფერმერებმა ეს პრობლემები უნდა გადაჭრან. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გვალვა არ არის დაზღვეული, ეს უკმაყოფილებას იწვევს ფერმერებში, რადგან ძირითადად პრობლემას სწორედ გვალვა წარმოადგენდა“.

ზამბახიძის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე აგროდაზღვევის პროგრამაში ბევრი ფერმერი არ ჩაერთვება.

ჩართულობის ხარისხზე საუბრისას, სადაზღვეო ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გიორგი გოგოლაშვილი** საინტერესო მინიშნებას აკეთებს, მისი მოსაზრებით: „პროექტის მიმდინარეობისას რამდენიმე კატეგორიის ფერმერები გამოიკვეთებიან: იქნებიან პიონერები, რომლებიც პირველივე დღეებში მოითხოვენ დაზღვევის ამ პროგრამაში ჩართვას, ასევე მიმდევრები, რომლებიც დაელოდებიან სიტუაციების განვითარებას და მესამე- ინერტული ადამიანები, რომლებიც ამ ეტაპზე პროგრამაში არ ჩაერთვებიან“.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც პირველ სექტემბერს ამოქმედდა, 4 სადაზღვეო კომპანია მონაწილეობს.

მემორანდუმის თანახმად, სადაზღვეო კომპანიებმა აიღეს ვალდებულება პროექტში მონაწილე ფერმერებს აგროდაზღვევის ხელშეკრულებები გაუფორმონ. დამზღვევი კი ვალდებულია სადაზღვეო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვეო პრემიის ნაწილი გადაიხადოს სადაზღვეო პოლისის გაცემისთანავე, დარჩენილი ნაწილის გადახდას კი - უზრუნველყოფს სააგენტო.

სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი პრემიის თანადაფინანსების თანხა არ უნდა არემატებოდეს 30 ათას ლარს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე - 50 ათას ლარს. დაზღვევის პროგრამის სესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი ზიანი, როგორიც არის სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა.

ექსპერტთა დიდი ნაწილის ვარაუდით, ამ საპილოტე პროგრამამქვეყანაში აგროდაზღვევის კულტურის დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი. სადღეისოდ აგროდაზღვევამ სერიოზული საფიქრალი მეციტრუსე ფერმერებს გაუჩინა. აქ სადაზღვეო პრემია 11%-ია აქედან 8%-ს სახელმწიფო ფარავს. მაგალითად: თუ მანდარინის ფასი 20 000 ლარის ფარგლებშია, სადაზღვეო სეზონზე 2 200 ლარის გადახდაა საჭირო. ცხადია, საკმაოდ ძნელია დაარწმუნო გლეხი, ამ არც თუ ისე მცირე თანხის გადახდის აუცილებლობაში. სწორედ ამიტომ, მთავრობის მიერ დაწყებული პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო 1600 ლარს თავად დაფარავ, მაგრამ 600 ლარი გლეხის გადასახდელია და მან უნდა გადაწყვიტოს, უღირს თუ არა თანხის გაღება სიმშიდისათვის... დაზღვეული პირის დანაკარგს სადაზღვეო კომპანია სრულად 100%-ით აანაზღაურებს. ციტრუსის დაზღვევა ყველაზე მნიშვნელოვანი იმითაა, რომ სერვისი, სახელმწიფოს დახმარებით ფერმერისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. დასაზღვევ უსიამოვნებებს შორის გვალვა რომ არაა, ამას სააგენტოში ახსნაც მოუძებნეს, მათი დასკვნით, გვალვის დაზღვევა კიდეც უფრო ძვირი სიამოვნებაა და მისი თავზე აღება კომპანიებისა და სახელმწიფოებისათვის ამ ეტაპზე - საკმაოდ რთული იქნებოდა.

რევაზ მსხალაძე
ნუგზარ ჟორდანია

მიზნობრივი პროგრამების საშუალებით ფერმერთა ხელშწყობა გრძელდება

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

500 ათასი ლარი მოხმარდება ფერმერთა და აგრომეწარმეთა მცირე სასათბურე კონსტრუქციებით უზრუნველყოფას. საუბარია 50 კვადრატული მეტრის სიდიდის მარტივი ტიპის ბოსტნეულის სათბურებზე, რომლებიც ასევე, 30%-იანი თანადაფინანსებით მიეყიდებათ მსურველებს. ეს პროგრამა ორი წელია ხორციელდება და დრეისათვის ბევრს უკვე გამართული ბოსტნეულის სათბურები აქვს რეგიონში. წელს, ამ პროგრამით მარწყვის სასათბურე მეურნეობაც მოეწყობა, რაც 571.200 ლარი დაჯდება. საუბარია 200 კვადრატული მეტრის სათბურებზე. შეიძენენ ახალი ჯიშის მარწყვის ჩითილებს, სამაცივრე კამერებს და ა.შ.

125 ცალი ხილისა და ბოსტნეულის საშრობ-სახმობი დანადგარები ს შესაძენად 100 ათასი ლარი დაიხარჯება.ეს დანადგარებიც 30%-იანი თანადაფინანსებით მიეყიდებათ ფერმერებს და აგრომეწარმეებს.

მესამე პროგრამაშიც ოთხი ქვეპროგრამაა. 100 ცალი თაფლის საწური ციბრუტის შესაძენად 62 ათასი ლარი დაიხარჯება, რომელთაც ასევე 30%-იანი თანადაფინანსებით მიჰყიდიან მსურველებს. რძისა და რძის პროდუქტების გადასამუშავებელი 500 ცალი სეფერატორის და 50 ცალი კარაქის სადღვების შესაძენად ამავე წესით მსურველებზე მისაყიდად 250 ათასი ლარია განსაზღვრული. სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის მოსაწყობისათვის 846.800 ლარი. 175 ცალი მარცვლეულის და სხვა მცენარეული უხეში საკვების დასაფქვავი წისქვილის შეძენას და მსურველებზე გაყიდვას 70 ათასი ლარი მოხმარდება.

ლევან გოლძვაძემ განმარტა ,რომ შესაძლოა ამ პროექტს კოოპერატივების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამაც დაუმატოს, რამეთუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ძირითადად სწორედ კოოპერატივების საქმიანობაზეა დამოკიდებული.

შემდეგ წარდგინება კითხვა-პასუხის ფორმით გაგრძელდა. დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ჟურნალისტებთან კომენტარები გააკეთეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ იოსებ აბულაძემ, მინისტრის მოადგილემ ავთანდილ მესხიძემ, „აგროსერვისცენტრის“ დირექტორმა გოჩა ბერიძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

„აგროსერვიცენტრმა“ განვლილი მუშაობის ანგარიში ჩააბარა

დასასრული, დასაწყისი პირველ გვერდზე

ითქვა ისიც, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფერმერთა სწავლება-ინფორმირებას, მოწინავე გამოცდილებების გაზიარებას, მეურნეობის გაძღოლის საჭირო უნარ-ჩვევების დროულად და სრულყოფილად მიწოდებას და რაც ძალზე მნიშვნელოვანია - აგროსექტორში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფისათვის. ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი რეზერვები და მათი დროული ამოქმედება, კონკრეტულ პროგრამებში ჩართვა-აუცილებლად გამოიღებს სასურველ ეფექტს. ითქვა ისიც, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო, მისი აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისია, მზადაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ საკითხებზე ორიენტირებული საპილოტე აგროსტრუქტურის საქმიანობას, ამიტომაც, როგორც სამინისტროსგან, ასევე „აგროსერვისცენტრისგან“ ელოდებიან შესაბამის წინადადებებს.

„აგროსერვისცენტრის“ დირექტორმა **გოჩა ბერიძემ** სტუმრებს კოლექტივის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე: მემცენარეობაზე, მეცხოველეობაზე, გადამამუშავებელი მრეწველობის პირველ ნაბიჯებზე და ფერმერთა სწავლება-კონსულტირებაზე - ამომწურავი ინფორმაცია მიანწოდა. აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში საწარმო გეგმა 99 პროცენტითაა შესრულებული და ის მცირედი ხარვეზები არასაფინანსო სექტორში, გარკვეულმა შეფერხებამ გამოიწვია. აღნიშნა, რომ ესეც უმოკლეს დროში გასწორდება.

აღნიშნა, რომ მემცენარეობაში მეცნიერთა ჯგუფმა უკვე დაიწყო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, სწორედ ამისათვის ბათუმის საზელმწიფო უნივერსიტეტსა და „აგროსერვისცენტრს“ შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ფერმერთა სწავლება-კონსულტირებას - „აგროსერვისცენტრის“ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ახორციელებენ. თეორიული და პრაქტიკული სწავლება აქ არსებულ მეურნეობაში უკვე, რამდენიმე ასეულმა ფერმერმა გაიარა. მათთან დაახლოებისა და თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით შედგენილია რამდენიმე ათეული ე.წ. „ფერმერის ბარათი“. ამ ბარათში, ამა თუ იმ ფერმერების სრული ინფორმაციაა მოცემული, რომლის მიხედვითაც ხდება იმ რჩევა-დარიგებათა გაცემა, რომლებიც მისი მეურნეობის წარმატებულ განვითარებას უზრუნველყოფს.

გოჩა ბერიძემ ასევე, ვრცლად ისაუბრა მცენარეთა მოვლის, პირუტყვის შენახვის, ხეხილისა და კენკრის შენახვა-გადამუშავების ახალ ტექნოლოგიებზე, რომლების გადატანაც, გაცნობის შემდეგ, ნებისმიერ დაინტერესებულ ფერმერს შეუძლია. ისაუბრა ასევე, საბიუჯეტო, ევროკავშირისა და გაეროს მხრიდან მხარდაჭერილი და დაფინანსებული, უკვე განხორციელებულ განვითარების ხელშემწყობ პროექტებზე. ისაუბრა სამომავლო გეგმებსა და ამოცანებზე, რომლებიც უფრო მასშტაბურია და წონად შედეგებზეა გათვლილი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ავთანდილ გერიძემ** თავის შეფასებებში ხაზი გაუსვა, რომ აჭარის აგროსექტორი სწორედ ახალი ინოვაციების საფუძველზე უნდა განვითარდეს. იგულისხმება როგორც ტრადიციული, ისე უცხოური, მოწინავე, განვითარებული აგრარული ქვეყნების გამოცდილება.რაც უფრო მალე მოხდება ამ ნოვაციების ჩვენს ფერმერულ მეურნეობაში გადატანა, მით უფრო დაჩქარდება აგროსექტორის აღმავლობა და ქვეყანაც წელში გაიმართება და ჩვენი სოფელიც.

აჭარის უმარლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის გამსვლელი სხდომების გამართვა უკვე ტრადიციული გახდა. ამჯერად, სხდომაზე „აგროსერვისცენტრის“ მუშაობა განვლილ პერიოდში - დადებითად იქნა შეფასებული.

ნუგზარ ჟორდანია

სიახლე

სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოელებზე აღარ გაიყიდება

მიწა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრეა და მის მართვაში გასხვისებისა, თუ საკუთრების შესახებ კანონმდებლობის არასრულყოფილება ხშირად ხდებოდა ხოლმე კორუფციული, თუ ეროვნული ინტერესების საზიანოდ მიღებული გადაწყვეტილების ხელშემწყობი პირობა. ამ კანონების და წესების მანიპულირებით პოლიტიკური კონიუქტურაც საზრდოობდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი გასულ წელს, ივლისში პარლამენტის მიერ მიღებული და ყოფილი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი მორატორიუმი გახლდათ, რომლის მიხედვითაც - უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა 2014 წლის ბოლომდე იკრძალებოდა. თუმცა, მემორანდუმის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში მემორანდუმის თაობაზე გადაწყვეტილება ხელისუფლებაში ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა და ექსპერთა ერთმა ნაწილმა, იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოფლის მეურნეობაში ახალი ინვესტიციების ჩადების ხელშემშლელ ფაქტორადაც კი მონათლა. მაშინ, ყოფილმა პრემიერმა - **გიორგი ივანიშვილმა** ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა: „თუ რატომ გამოცხადდა მორატორიუმი, ამას ბევრი მიზეზი და გამართლება აქვს, თუმცა, რაც ბევრი იქნება შეზღუდვა ეკონომიკაში და მორატორიუმები, მით ნაკლებად თავისუფალია ბაზარი. ეს ეკონომიკის განვითარებას და ინვესტიციების შემოსვლას უშლის ხელს, ამიტომაც, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მორატორიუმი აღარ გაგრძელდეს და იჯარით მაინც, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მიწების გაცემა“...

საინტერესოა ისიც, რომ მეცნიერთა ჯგუფმა, მათ შორის აგროსექტორის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა **პაატა კოღუაშვილმა**, მორატორიუმის გამოცხადებისთანავე, ამ იდეის ავტორებს, ქვეყნის პარლამენტის დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს (ზ. ტყემალაძე და გ. აგულაშვილი) ღიად განუცხადა, რომ გზას, რომელსაც ისინი პრობლემის გადაჭრის მიზნით გვთავაზობდნენ, არ იყო გამოსავალი და ყოველგვარ აკრძალვებსა და მსგავს ღონისძიებებს - უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. პირდაპირ მიუნიშნებდნენ, რომ მსოფლიო გამოცდილება სხვა გზებზე მიგვითითებს და ჩვენთვის მისაღები ვარიანტების გამოყენება არ იქნებოდა ურიგო. ამავდროულად, მისაგები და ყურადსაღებია, რომ ქვეყანაში ამ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებამ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვია. ცნობილია, რომ საზოგადოების დაკვეთაა, რომ სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ დააწესოს გარკვეული რეგულაციები (შეზღუდვები). სწორედ ამას აკეთებენ და საკმაოდ ეფექტურადაც, მსოფლიოს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები ისე, რომ ეკონომიკა და აგროსექტორიც აღმავლობას განიცდის და არც სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა უარესდება. ასე, რომ მეცნიერ-სპეციალისტთა დიდი ნაწილის აზრით - გამოსავალი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მიწათსარგებლობისა და გასხვისების შესახებ ახალი კანონი უნდა მიეღო, ისეთი, როგორიც გამოწვევებს ცივილური ფორმით უპასუხებდა, პრობლემებს მოხსნიდა და ეკონომიკის, აგროსექტორის განვითარებას უზრუნველყოფდა, თორემ არსებული სიტუაციის გაგრძელება, იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს სოფლად მცხოვრები ადამიანების უკიდურესად გაღარიბება, იმის რეალურ საფრთხეს ჰქმნიდა, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიების დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდებოდა, თანაც ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფოები, თურქეთი, ირანი, ისრაელი ნ.ჟ.) რომლებიც უკვე კარგახანია ღიად, თუ ფარულად გამოხატავენ ქართული მიწებით დაინტერესებას, გამოირჩევიან ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. მათთვის საცხოვრებელი და სამეურნეო არეალის გაფართოებას ერთობ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მათი ხელისუფლებაც ყოველნაირად, მათ შორის ფინანსურადაც სერიოზულად უჭერს მხარს. ჩვენთან კი, ყოფილი ხელისუფლება და განსაკუთრებით კი, მისი ე.წ. „ეკონომიური მამები“, რომლებიც მიდგომების რადიკალური ლიბერალიზმით იყვნენ ცნობილნი, ყოველნაირად ცდილობდნენ, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ასე ხელაღებით მიყიდვა, ინვესტიციების მოზიდვით გაემართლებინათ. ამ დროს შკარად ავიწყდებოდათ, ან იგნორირებას უკეთებენ იმას, რომ თავად სოფლის მეურნეობა არაა მაინცდამაინც ფართოდ ინვესტირებადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისება ყველაფრის, მათ შორის ეროვნული და დემოგრაფიული ინტერესების ფასად - არ უნდა ხდებოდეს. თუმცა საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ იმდროინდელი ეკონომიკის მესვეურები გვამშვიდებდნენ და გვმოძღვრავდნენ კიდეც, რომ მავანნი მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებდნენ. თუმცა თუ საღი გონებით განვსჯით, დავინახავთ, რომ მოკიდებით არ მოიკიდებდნენ, მაგრამ ამ მიწაზე სამუდამოდ დამკვიდრდებოდნენ, ყველა თანმხლები ასპექტებით - არაერთ პრობლემასა და საფრთხეს გააჩენდნენ და მერე გვიანი იქნებოდა სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლისათვის ყველა მცდელობა. ამის მაგალითები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია და საკმაოდ ბლომადაც. ამოტომაც შეიძინა ესოდენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ამ ცოტა ხნის წინ მიღებულმა ახალმა კანონმა, რომლის ძალითაც - ქვეყანაში უცხოეთის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა-პგადაცემის საკითხი საფუძვლიანად რეგულირდება. როგორც იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** განაცხადა, შეცვლილი კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოში ვეღარ შეისყიდის უცხოეთში დაფუძნებული კომპანია ან სხვა იურიდიული პირი. მისი თქმით „სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელ ფიზიკურ პირებზე ან უცხოურ კომპანიაზე, თუნდაც ის საქართველოში იყოს დაფუძნებული, ვერ მოხდება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლში და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. სასაზღვრო ზოლსა და ამგვარ ზონებში ვერცერთი ფიზიკური პირი, ან უცხოური კომპანია სასოფლო-სამეურნეო მიწას ვერ შეისყიდის. სამაგიეროდ, უცხოელი რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს სასოფლო მიწას, შეიძლება გახდეს ამ მიწის მესაკუთრე. ეს ჩვენს ბევრ თანამემამულეს, რომელმაც დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა და დღეს უცხოელად ითვლება, საშუალებას მისცემს მისი წინაპრების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღონ საკუთრებაში“.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით „ფიზიკურ პირებს, უცხოელებს და იმ კომპანიებს, რომლებიც დაფუძნდებიან საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო მიწის მეკუთრეები გახდნენ მხოლოდ შემდეგი წესების დაცვით: თუკი მათ ექნებათ საქართველოს ტერიტორიაზე აგრარულ-სექტორში მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში, მას პარალელურად უნდა ჰქონდეს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ან საინვესტიციო ბინადრობის უფლება. ძლიერდება სოფლის სამინისტროს როლი, რათა დარგობრივ სამინისტროს უფრო მეტი უფლებები ჰქონდეს იმ საჯარო ვალდებულებების შესახებ, რაც ამა თუ იმ ინვესტორს ეკისრება. აქვე შემოდის ნოტარიუსის როლი, რომელიც უცხოელ და ქართველ კერძო პირებს შორის სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე დამოწმებას განახორციელებს და შეამოწმებს ახალი კანონით დადგენილი ახალი პირობების შესრულებას როგორც მიწის გამყიდველის, ისე მისი მყიდველის მხრიდან. ჩვენ შემოგვაქვს დათქმა, რომ უცხოელ ფიზიკურ პირს, უცხოურ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში და ასეთში იგულისხმებიან ის იურიდიული პირები, რომელთა 50%-ზე მეტს ფლობს უცხოელი, ექნებათ უფლება, შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწა არანაკლებ 5 ჰექტარი და მაქსიმუმ 100 ჰექტარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სერიოზული საინვესტიციო წინადადებების პირობებში საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს უფლებას, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ხელი შეუწყოს და დართოს ნება, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების დეტალური შესწავლის შემდეგ ფლობდნენ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწებს“, - განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ეს ყველაზე დაბალანსებული მოდელია, რომელიც ერთი მხრივ, საქართველოს, როგორც მცირემიწიანი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მეორეს მხრივ კი უცხოელი ინვესტორების უფლებებს იცავს.

იმედია, ახალი კანონი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეროვნული აგროსექტორის აღმავლობის, ქართული სოფლის აღორძინებისა დ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

ნუგზარ ჟორდანია

კითხვები, რომლებზეც პასუხი „აგროსერვისცენტრმა“ უნდა გასცეს

პოლიტიკურმა მოვლენებმა და თანმხლებმა ეკონომიკურმა პროცესებმა,რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან განვითარდა, ალბათ ყველაზე მეტად, დამანგრეველი ხელი, ქვეყნის აგროსექტორს დაეტყო. თითქოსდა ერთ დროს კარგად აწყობილი მექანიზმი ერთბაშად მოიშალა, დაიწყო რღვევა და ნგრევა, შედეგად, მივიღეთ ლამის განადგურებული სოფელი, უკიდურესად დაბალი სასოფლო-სამეურნეო წარმოება და რაც ყველაზე დიდი პარადოქსია -იქეთ სარჩენი გლეხკაცი. იყო არაერთი მცდელობა, თუმცა, ცნობილი ობიექტური თუ სუბიექტური პირობების გამო, მისი ფეხზე წამოყენება, რეანიმაცია და გაძლიერება დღემდე ვერ მოხერხდა.

აჭარა, ქვეყნის სხვა რეგიონებთან ერთად, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო რეგიონია და მისი ისეთი ძირითადი დარგები, როგორებიცაა: მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეთამბაქოეობა, სუბტროპიკული ხურმის წარმოება და სხვა განახლებული, თანამედროვე, მსოფლიო აგროინდუსტრიაში აპრობირებულ და ეკონომიკურად გამართლებულ მიდგომებს მოითხოვს. რაც ექსპერტების აზრით, დაჩქარებული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამაში უპირველესად იგულისხმება მცენარეთაა და პირუტყვ-ფრინველთა ახალი, გაუმჯობესებული, მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა და წარმოებაში გავრცელება. ახალი ბაღების, ვენახების, პლანტაციების გაშენება. თვისობრივად გაუმჯობესებული პირუტყვის ჯოგის გამრავლება და შესაბამისად მათი სათანადო მოვლა-პატრონობისა და პროდუქციის წარმოებისთვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

სამი წლის წინათ, სწორედ ამ თვალსაზრისით შექმნილი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“ - ნოვაციაა არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. ასეთია აგრარიკოს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა აზრი. ერთ-ერთი მათგანია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ მიქელაძე, იგი აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის ავტორი, დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა აგრიკოსთა არაერთი თაობის მომზადებაში, ზედმიწევნით კარგად იცის ჩვენი ქვეყნის და მისი თითოეული რეგიონის აგროსექტორის პლიუსები და მინუსები, პრობლემები, თავისებურებები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. არის არაერთი აგრარული პროექტის ავტორიც, ამდენად „აგროსერვისცენტრის“ მნიშვნელობაზე, მის როლსა და ამოცანებზე, მისი კომპეტენტური მოსაზრებები ერთობ საინტერესოდ, ამომწურავად და ყოვლისმომცევლად ჩათვალეთ. პრაქტიკულად, მის წერილში იგი სათაურში შემოტანილ ყველა საკითხზე იძლევა პასუხს. ბატონი ზურაბი „აგროსერვისცენტრთან“ შექმნის დღიდან აქტიურად თანამშრომლობს იცის მისი შესაძლებლობები და მნიშვნელობა აგროსექტორის რეანიმაციის საქმეში, ამიტომაც, მთლიანად ვაქვეყნებთ მის წერილს, რომელსაც მთლიანად ვეთანხმებით.

ზურაგ მიქელაძე- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი:

„აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)აპ „აგროსერვისცენტრი“ აგროსექტორის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა. უწყების რამდენიმეწლიანმა მუშაობამ დაადასტურა მისი არსებობის აუცილებლობა იმ ფუნქციონალური დატვირთვით, რასაც რეგიონის აგროსამრეწველო კომპლექსი და მოსახლეობა მოითხოვს. „აგროსერვისცენტრმა“ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: „რას ვაკეთებთ, როგორ და რატომ?“. მით უმეტეს, როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზა - თითქმის არ არსებობს. ისტორიის კუთვნილებაა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი - განადგურებულია. თითქმის არ არსებობს გადამამუშავებელი მრეწველობა, ასევე აგრარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ჯიშთა გამოცდის სადგურების და სანერგეების ქსელი. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები კი - ნაკლებად ხელმისაწვდომია.

„აგროსერვისცენტრმა“ პრაქტიკულად იტვირთა აგრარული სფეროს სამეცნიერო-პრაქტიკული და ორგანიზაციული პრობლემების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვეტა. მის სამოქმედო, საშუშაო გეგმაში, მეტ-ნაკლებად, ყველა პრობლემატური საკითხია გათვალისწინებული. უწყებას ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები, აქვს ჩამოყალიბებული სამუშაო პროგრამები, გეგმები. მეთოდურად ხდება პრობლემების წარმოჩენა, დამუშავება და გადაჭრის რეალური გზების მოძიება. საქმიანი, მეცნიერული და პრაქტიკული ურთიერთობები აქვთ ადგილობრივ და საზღვარგარეთელ მეცნიერებთან, პრაქტიკოსებთან, ფერმერებთან, ბიზნესმენებთან, თანამშრომლობენ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაერო და ევროკავშირი. „აგროსერვისცენტრის“ სინამდვილეში ეს ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა აგრარულ პროგრამას, პროექტს, რომელთა მეშვეობითაც გაშენდა ხეხილის საკოლექციო-სადემონსტრაციო ბაღები, სათბურები, ინერგება ახალი ტექნიკური მოწყობილობები და ტექნოლოგიები. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეს სტრუქტურული ერთეული არის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონის ფერმერებისა და აგრობიზნესმენების დასაყრდენი და მაგალითი სიახლეთა დანერგვისა და განვითარების მხრივ.

„აგროსერვიცენტრი“ ძალიან ახალგაზრდაა, აქ მუშაობენ ახალგაზრდული ენერგიით. გულწრფელად ვულოცავ მის კოლექტივს და ახალგაზრდა, ენერგიულ ხელმძღვანელს გოჩა ბერიძეს სამნლიან წარმატებულ საქმიანობას და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს რეგიონის აგროსექტორის წინსვლაში.

დაბოლოს, ამას წინათ „აგროსერვისცენტრის“ საქმიანობას მაღალი შეფასებები მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ. ხაზგასმით ითქვა, რომ ეს სტრუქტურა რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს ფერმერული და აგრარული მეურნეობრიობის ახლებურად წარმართვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მთავარი კატალიზატორი და ცენტრი. საამისოდ, მასშტაბური სამუშაოები უკვე დაწყებულია და წარმატებითაც მიმდინარეობს. მათი შეფასებით - ეს ნოვაცია ქვეყნის მასშტაბით მაგალითად უნდა იქცეს“.

ნუგზარ ჟორდანია

ფერმერთა საყურადღებოდ!

ENPARD AJARA – სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი საგრანტო პროექტის განხორციელებას იწყებს. ვაქვეყნებთ საგრანტო განაცხადის წარდგენის წესებს.

European Union | ENPARD | Government of Ajara AR | UNDP Empowered lives. Resilient nations.

ENPARD AJARA

სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სახელმძღვანელო საგრანტო განაცხადის წარდგენის შესახებ

ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროექტი ENPARD (ენპარდ) ეს არის ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საქართველოში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. აჭარაში პროექტს ახორციელებს UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა და მისი სახელია ENPARD Ajara (ენპარდ აჭარა).

სხვა მიზნებთან ერთად პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოგებაზე ორიენტირებული ფერმერების ბიზნეს ჯგუფებად ჩამოყალიბებას, მათი შემდგომი კოოპერატივებად რეგისტრაციას და განვითარებას.

საგრანტო განაცხადის წესები

საგრანტო განაცხადი შეუძლია წარმოადგინოს აჭარაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც დაკავებულია ან აპირებენ დაკავდნენ სასოფლო სამეურნეო საქმიანობით.

მიიღება მხოლოდ ჯგუფური განაცხადი. განმცხადებელთა ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ ხუთი ადამიანისა. მაღალმთიანი რაიონების შემთხვევაში საკმარისია სამი ადამიანი.

საგრანტო განაცხადზე საბუთების წარდგენა შეუძლია ფერმერთა ნებისმიერ ჯგუფს, თუნდაც მას არ გააჩნდეს კონკრეტული იურიდიული ფორმა, მაგრამ საბოლოოდ, გრანტით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ კოოპერატივს და სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს.

საგრანტო განაცხადის პროცედურები

ნაბიჯი პირველი: განმცხადებელთა ჯგუფმა, სააპლიკაციო ფორმის შესავსებად და საჭირო ინფორმაციის მოსამზადებელად, უნდა მიმართოს გაეროს განვითარების პროგამის აჭარის პროექტს ან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემოთ მითითებულ მისამართებზე

გაეროს განვითარების პროგრამა, ენპარდ აჭარა

ქ. ბათუმი, ჟორდანიას ქუჩა 12, ბინა 3
საკონტაქტო პირი: მერაბ სვანიძე
ტელეფონი: 592 292200

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქ. ბათუმი, კომახიძეს ქუჩა 119
საკონტაქტო პირი: ჯონი ჯაყელი
ტელეფონი: 592 400400

ნაბიჯი მეორე: იმ შემთხვევაში თუ სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ინფორმაცია აკმაყოფილებს საგრანტო განაცხადის მოთხოვნებს, განმცხადებელთა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს მოკლე პროექტი დაგეგმილი საქმიანობისა და მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის შესახებ. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

European Union | ENPARD | Government of Ajara AR | UNDP Empowered lives. Resilient nations.

ნაბიჯი მესამე: ჯგუფის/კოოპერატივის მიერ წარმოდგენილ პროექტს განიხილავს კომისია. განხილვის საგანი იქნება პროექტის შესატყვისობა საგრანტო პირობებისადმი და მისი სარგებელი კოოპერაციის განვითარების მიმართულებით.

ნაბიჯი მეოთხე: ზემოთ აღწერილი სამი ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში პროექტი გადადის განხორციელების ფაზაში. განხორციელების ფაზაში აუცილებელი მოთხოვნაა კოოპერატივის წევრებმა გაიაროს მათთვის შემუშავებული ტრენინგების/კონსულტაციების ინდივიდუალური კურსი ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში.

საგრანტო პროგრამის პირობები

- ერთ, მინიმუმ ხუთ წევრიან კოოპერატივზე (მაღალმთიანი რაიონების შემთხვევაში მინიმუმ სამ წევრიან კოოპერატივზე) მოთხოვილი საგრანტო პროექტი ქვემოთ მოყვანილ ერთ ერთ კატეგორიაში მოხვდება

10,000 $ – მდე	10,000 $ დან – 30,000 $ მდე	30,000 $ დან – 50,000 $ მდე

- იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიაშია ჯგუფის/კოოპერატივის მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი, სხვადასხვაა როგორც თანამონაწილეობის მოთხოვნა ასევე მისი სიდიდეც:

10,000 $ – მდე	10,000 $ დან – 30,000 $ მდე	30,000 $ დან – 50,000 $ მდე
20% თანამონაწილეობა დასაშვებია არა ფულადი სახით	20% თანამონაწილეობა აუცილებლად ფულის სახით	30% თანამონაწილეობა აუცილებლად ფულის სახით

- გრანტი არ გაიცემა ნაღდი ფულის სახით. გრანტი შეიძლება იყოს კონკრეტული ფულადი ექვივალენტის ღირებულების მქონე: მანქანა–დანადგარები, წარმოების საშუალებები, მასალები და სხვა;

საგრანტო პროგრამის ქვეშ არ ფინანსდება პროექტში წარმოდგენილი შემდეგი სახის ხარჯები:

- მიწის დასამუშავებლად დაქირავებული მუშახელის ხარჯები;
- მიწის შესყიდვა ან მიწის იჯარით აღება;
- შენობების შესყიდვა ან იჯარა;
- ხელფასები;

ტრენინგები და კონსულტაციები

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაციები საგრანტო პროექტის მომზადების თაობაზე ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში, მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა 73. საკონტაქტო პირი/ტელეფონი:

European Union | ENPARD | Government of Ajara AR | UNDP Empowered lives. Resilient nations.

ENPARD AJARA

სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საგრანტო განაცხადის სააპლიკაციო ფორმა

ყურადღება: აპლიკაციის შევსებამდე გთხოვთ გაეცნოთ სახელმძღვანელოს საგრანტო განაცხადების წარ-დგენის შესახებ.

საგრანტო განაცხადი

განაცხადის შემოტანის თარიღი:

კოოპერატივის / ჯგუფის სახელი:

მუნიციპალიტეტი/თემი/სოფელი:

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი):

საკონტაქტო პირის მისამართი/ტელეფონი:

პროექტის ბიუჯეტი:

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარი):

კოოპერატივის/ჯგუფის თანამონაწილეობა:

ინფორმაცია კოოპერატივის / ჯგუფის შესახებ:

იმ შემთხვევაში თუ დარეგისტრირებული გაქვთ კოოპერატივი და მინიჭებული გაქვთ სასოფლო სამეურნეო კოოპე-რატივის სტატუსი, გთხოვთ დაურთოთ კოოპერატივის რეგისტრაციის მოწმობის და კოოპერატივის წევრების შესა-ხებ საბუთების ასლები და უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

იმ შემთხვევაში თუ თქვენ წარმოადგენთ უბრალოდ ფერმერთა ჯგუფს, კონკრეტული სამართლებრივი ფორმის გარეშე, გთხოვთ მიუთითოთ ინფორმაცია თქვენი ჯგუფის შესახებ და ასევე უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

- მონიშნეთ რას ითვალისწინებს თქვენს მიერ შემოტანილი პროექტი:
  - პროდუქტის მოყვანას/პირველად წარმოებას ☐
  - პროდუქტის გადამუშავებას ☐
  - მოყვანას და გადამუშავებას ☐
  - სხვას ☐

European Union | ENPARD | Government of Ajara AR | UNDP Empowered lives. Resilient nations.

- მოკლედ აღწერეთ თქვენი პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა:
- რამდენად გააჩნია თქვენს ჯგუფს პროექტით წარმოდგენილი საქმიანობის გამოცდილება? გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:
- რამდენად გაქვთ ჯგუფის წევრებს ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება? გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:
- ინფორმაცია წევრების შესახებ: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, პირადობის ასლები.
- გთხოვთ მოკლედ აღწეროთ თუ რა სარგებელი აქვს თქვენს გაერთიანებას ჯგუფად/კოოპერატივად:
- გთხოვთ მოკლედ აღწეროთ როგორ აპირებთ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციას:
- გაგაჩნიათ თუ არა დაგეგმილი საქმიანობის პროექტი / ბიზნეს გეგმა? თუ კი, გთხოვთ წარმოადგინოთ

მკითხველის აზრი ჩვენთვის უმთავრესია!
მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ თქვენთვის საინტერესო თემები და წინადადებები ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
საქართველო, ბათუმი (6010)
გოგებაშვილის 46ა
ელ. ფოსტა:
agroservice.centre@yahoo.com
ტელ.: 593100829

WWW.AGROSC.GE

რედაქტორი
ნუგზარ ჟორდანია

გაზეთში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია
და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს
განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების
პროგრამის "ENPARD Ajara - სოფლის მეურნეობის განვითარების
მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში"

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა
და დაიბეჭდა შპს „ბესთკომპანი ჯორჯიას" მიერ
ელ. ფოსტა: BESTCOMPANY_Z@YAHOO.COM